ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 20-81

« _30_ » _დეკემბერი_ 2014 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 165-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების, „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის N667 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - თბილისი) ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული:

ა) ავტობუსებით (M3 კატეგორია) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მგზავრობის ტარიფი დამტკიცდეს 0,5 ლარის ოდენობით;

ბ) მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მგზავრობის ტარიფი დამტკიცდეს 0,5 ლარის ოდენობით;

გ) საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფი ერთი მიმართულებით დამტკიცდეს 1,0 ლარის ოდენობით.

მუხლი 2

1. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიეცეთ:

ა) თბილისში რეგისტრირებულ ქმედუნარიანობის შეზღუდვის მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე უსინათლო პირებს და გადაადგილებისას მათთან ერთად მყოფ დამხმარე ნებისმიერ პირს;

ბ) თბილისში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს;

გ) თბილისში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავებს, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედების ზონაში;

დ) თბილისში რეგისტრირებულ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს;

ე) თბილისში რეგისტრირებულ სამხედრო ძალების ვეტერანებს;

ვ) თბილისში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრებს;

ზ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს;

თ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორებს;

ი) თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებს, რომლებსაც ზედამხედველობას უწევს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“;

კ) ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულ თბილისში მცხოვრებ ყოფილი პატიმრების სტატუსის მქონე პირებს;

ლ) შპს „თბილსერვის ჯგუფში“ მომუშავე დამგველებს, მეეზოვეებს, სპეც. მორიგე ბრიგადების დამგველებს, მუშებს, დამხმარე მუშებს და მძღოლებს.

2. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით (0,2 ლარი) მგზავრობის უფლება მიეცეთ:

ა) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ სტუდენტებს;

ბ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული შემდეგი დაწესებულებების ყველა თანამშრომელს:

ბ.ა) საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;

ბ.ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;

ბ.გ) სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები;

ბ.დ) თბილისის მერიის ხელოვნების სკოლები, ქართული ფოლკლორის სასახლე, საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი;

ბ.ე) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები – სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის ქ. სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი და ქ. სოხუმის ალექსანდრე შერვაშიძე–ჩაჩბას სახელობის სამხატვრო სასწავლებელი;

ბ.ვ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სპეციალიზებული დაწესებულებები (სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებები, დღის ცენტრები და სათემო ორგანიზაციები);

გ) თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში არსებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სკოლების მასწავლებლებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან თბილისში;

დ) თბილისში რეგისტრირებულ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებს;

ე) თბილისში რეგისტრირებულ „სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ პენსიონერებს;

ვ) საქართველოს საპატრიარქოს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტებს;

ზ) თბილისის საკუთრებაში არსებულ პოლიკლინიკებში დასაქმებულ უბნის ექიმებს, უბნის პედიატრებს და ოჯახის ექიმებს;

თ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მანდატურებს;

ი) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის მომსახურების ცენტრებში დასაქმებულ სოციალურ აგენტებს და სოციალურ მუშაკებს.

3. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით (0,1 ლარი) მგზავრობის უფლება მიეცეთ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში" რეგისტრირებულ 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს.

4. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროში საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" მგზავრთა გადაყვანისას ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კატეგორიების პირებს მიეცეთ უფასო მგზავრობის უფლება, ხოლო მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი კატეგორიების პირებს – მგზავრობის ტარიფის 50%-ანი ფასდაკლებით სარგებლობის უფლება.

მუხლი 3.

დამტკიცდეს საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მრავალჯერადი გამოყენების სამგზავრო ბარათების მომხმარებელთათვის ფასდაკლების შემდეგი სისტემა: სამგზავრო ბარათის მფლობელი მგზავრობის საფასურის სამგზავრო ბარათით 0,5 ლარის გადახდის შემდეგ, აგრეთვე ამ დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირი მის მიერ კუთვნილი სამგზავრო პლასტიკური ბარათით მგზავრობის საფასურის გადახდის შემდეგ, უფლებამოსილია ავტობუსებით (M3 კატეგორია) ან/და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) უფასოდ იმგზავროს 90 წუთის განმავლობაში იმ პირობით, რომ აღნიშნულ დროში ყოველი მგზავრობისას აიღებს სამგზავრო ბილეთს (რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში უფასოა) კუთვნილი სამგზავრო ბარათით.

მუხლი 4.

ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელმა იურიდიულმა პირმა უზრუნველყოს ამ დადგენილების პირველი, მე-2 და მე-3 მუხლებით დამტკიცებული მგზავრობის ტარიფით და ფასდაკლების სისტემით მომსახურების განხორციელება მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 5

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „რეგულირებადი ეკონომიკური სფეროებისა და ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2012 წლის 27 ივლისის №8-30 გადაწყვეტილება;

ბ) „ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მგზავრობის ტარიფისა და

ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 30 ივლისის №19.01.709 დადგენილება.

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

განმარტებითი ბარათი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“

2014 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა (N2159-IIს) საქართველოს კანონში „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, მას ეწოდა კანონი „კონკურენციის შესახებ“, მე–3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი კი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის მიხედვით ტერმინი „სატარიფო რეგულირების მქონე ეკონომიკური სფეროები“ შეიცვალა ტერმინით „ეკონომიკის რეგულირებადი სფერო“ და ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად (სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ სფეროებთან ერთად) განისაზღვრა მუნიციპალური მომსახურების სფეროები, რომლებშიც თავისუფალი ფასწარმოქმნა და კონკურენცია შეზღუდულია და რომლებიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება (რაც იქამდე განისაზღვრებოდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით და ამ მიზნით საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2012 წლის 23 ივლისს ხელი მოეწერა №619 ბრძანებულებას „რეგულირებადი ეკონომიკური სფეროების განსაზღვრის შესახებ“, რომლის საფუძველზეც ქალაქ თბილისის საკრებულომ 2012 წლის 27 ივლისს №8-30 მიიღო გადაწყვეტილება „რეგულირებადი ეკონომიკური სფეროებისა და ტარიფების განსაზღვრის შესახებ“) რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებად და ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 5 დეკემბერს მიღებულ იქნა N667 დადგენილება „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების შესახებ“, რომლის პირველი მუხლით ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განისაზღვრა შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტობუსებით (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და მიწისზედა ელექტროტრანსპორტით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანები, აგრეთვე საქართველოს დედაქალაქში – თბილისში საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ მგზავრთა გადაყვანა, ხოლო მე-2 მუხლით

მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობით ორგანოებს, დადგენილების პირველ მუხლში მითითებული საქმიანობის რეგულირების მიზნით, დაევალათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის უზრუნველყოფა.

ამავე დროს, 2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლით მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებიდან ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად განისაზღვრა საკრებულოს დადგენილება (ნაცვლად იქამდე მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საკრებულოს გადაწყვეტილებისა), ხოლო 165-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაევალათ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 თვის ვადაში თავიანთი ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შემუშავებულია ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ამასთან, პროექტით განსაზღვრული, ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი „რეგულირებადი ეკონომიკური სფეროებისა და ტარიფების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2012 წლის 27 ივლისის №8-30 გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, მის მე-2 მუხლში (რომელიც ადგენს საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (მეტრო და M3 კატეგორიის ავტობუსი) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი მგზავრობის უფლების მქონე პირების კატეგორიებს) უფასო მგზავრობის უფლების მქონე პირების კატეგორიებს ემატებიან:

ა) თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლები, რომლებსაც ზედამხედველობას უწევს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო", სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 8 დეკემბრის №2/476 წერილის (მერიაში რეგისტრაციის №08/143421149-1; 08.12.2014წ.) გათვალისწინებით (ასლი თან ერთვის). ამასთან აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული კატეგორიის პირები დღეისათვის სარგებლობენ შეღავათიანი მგზავრობის (0,2 ლარი) ტარიფით;

ბ) ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულ თბილისში მცხოვრებ ყოფილი პატიმრების სტატუსის მქონე პირები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2014 წლის 8 დეკემბრის №551 წერილის (მერიაში რეგისტრაციის №06/14342870-1; 08.12.2014წ.) გათვალისწინებით (ასლი თან ერთვის);

გ) შპს „თბილსერვის ჯგუფში" მომუშავე დამგველები, მეეზოვეები, სპეც. მორიგე ბრიგადების დამგველები, მუშები, დამხმარე მუშები და მძღოლები, შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორის 2014 წლის 8 დეკემბრის №2/2371 წერილის (მერიაში რეგისტრაციის №08/143421302-1; 08.12.2014წ.) გათვალისწინებით (ასლი თან ერთვის).

წარმოდგენილი პროექტით ასევე განსაზღრულია „ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მგზავრობის ტარიფისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 30 ივლისის №19.01.709 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებაც, რომლის მიღების საფუძველი იყო ამავე პროექტით ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი „რეგულირებადი ეკონომიკური სფეროებისა და ტარიფების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2012 წლის 27 ივლისის №8-30 გადაწყვეტილება. ამავე დროს წარმოდგენილი პროექტის მე-3 მუხლში გათვალისწინებულია ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (M3 კატეგორიის ავტობუსები და მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მრავალჯერადი გამოყენების სამგზავრო ბარათების მომხმარებელთათვის ფასდაკლების სისტემა, რომელსაც ითვალისწინებდა ზემოაღნიშნული ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი 2012 წლის 30 ივლისის №19.01.709 დადგენილება.

დადგენილების ამოქმედებისთვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებულია ქ. თბილისის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში.

დადგენილების პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური.

დადგენილების პროექტის წარმომდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.